№ 255   13 დეკემბერი, ოთხშაბათი   1866—1878   13 დეკემბერი, ოთხშაბათი   № 255

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირალოვის სახლში. № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, Ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მომავალს 1879 წელს გაზეთი

## „დროება"

**გამოვა მუდამ დღე და იმავე პროგრამმითა და მიმართულებით როგორც აქამდინ გამოდიოდა.**

**ხელის-მოწერა**

თფილისში—მიიღება „დროების" რედაქციაში (სერგიევის ქუჩ.-ზე, Ივ. ამირალოვის სახლებში, № 8).

გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію газ. „Дроэба".*

აგენტების საშუალებით გაზეთის დაბარება შეიძლება მხოლოთ იმ პირობით, რომ ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იყოს რედაქციაში გამოგზავნილი.

**გაზეთის ფასი**

| | |
|---|---|
| მთელის წლისა | 8 მან. |
| ნახევარის წლისა | 5 „ |
| სამის თვისა | 3 „ |
| ერთის თვისა | 1 „ |

მხოლოთ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

**ხვედრი ფასი გაზეთისა დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი;** უფულოთ გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

# საქართველო

### დღიური

*** მომავალს წელს თფილისში იქნება გამართული სამეურნეო გამოფენა. გამოფენილი იქნებიან მეურნეობის ნაწარმოები საგნები და აგრეთვე სხვა-და სხვა სამეურნეო იარაღები ჩვენებური და ევროპიული. ამ გამოფენისათვის, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების შუამავლობით, მთავრობა გადასდებს 5,000 მანეთს.

გამოფენა დაიწყება მომავალი წლის ღვინობისთვის 15-ს და ათ დღეს გაგრძელდება. Ის იქნება გამართული თფილისის აკლიმატაციის ბაღში, მუშტაიდის გვერდით.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში უფ. ა. ზუბალოვმა წარუდგინა საზოგადოებას მოცვის ჩაი, რომელიც იმას ყვირილის უეზდის სოფ. მუხურას მოუკრებია თავის მამულში და რომელსაც, უფ. ზუბალოვის სიტყვით, თითქმის ისეთივე სუნი და გემო აქვს, როგორც ნამდვილ ჩინეთის ჩაის.

ჩვენ არ ვიცით—რა დასკვნა დაადგინა ამ ჩაიზედ ჩვენმა სამეურნეო საზოგადოებამ.

*** „თფილისის მოამბეში" მოყვანილია ძალიან საინტერესო სია იმის თაობაზედ—თუ ჩვენი ახლანდელი ქალაქის რჩევის ხმოვანები რამდენჯერ დასწრებიან რჩევის სხდომებზედ. ამ სიიდამ სჩანს, რომ გავლილი ოთხი წლის განმავალობაში ქალაქის რჩევას ჰქონია სულ—177 სხდომა, და ამ რიცხვიდამ ხმოვანი უფ. Ი. ა. ჩიტახოვი დასწრებია სულ 19-ჯერ, ანტ. ს. ყორღანოვი—18-ჯერ, Ივ. გ. ფრიდონოვი—19-ჯერ, კ. ნ. რეიტერი—41-ჯერ, Ივ. ად. ფორაქოვი—14-ჯერ და სხვ.

საზოგადოთ სიიდამ სჩანს, რომ ყველაზე უფრო ნაკლებათ ქალაქის რჩევის სხდომებზე დაიარებიან, და მაშასადამე ყველაზე უფრო ნაკლებად ზრუნავენ ქალაქის ინტერესებზედ, მდიდარი და შემძლებელი ხმოვანები.

### მომავალ თათრულ გაზეთზედ

ამ ჩვენი კავკასიის ერთს ნაწილში სცხოვრებენ თათრები; მრავალნი ამათგანნი არიან სწავლით განათლებულნი, ბევრია ამათში სიმდიდრითაც გამოჩენილი. წერა-კითხვაც გავრცელებულია.

მაგრამ მდაბიო ხალხში კიდევ იმისთანა სიბნელე არის ჯერა, რომ ავი და კარგი ვერ განურჩევიათ. ამათი განსაკუთრებითი ხელობა, როგორც გვიჩვენებენ ადგილობრივი შემთხვევანი, არის შური, ჩხუბი, ცარცვა, კაცის-კვლა და სხვანი; რომელი ავაზაკობაც უნდა მოახდინოს თათარმა, იმას ეს არ მიაჩნია ცოდვათ. მაგალითად, მოკლა კაცი იმ განზრახვით, რომ ისარგებლოს მისის ქონებით,—ეს იმისთვის არაფერი: ის ისევ დაიარება გულ-გრილათ და კიდევ მზათ არის მოახდინოს ამ გვარივე ანუ უფრო შესაზარებელი საქმე, თუკი შემთხვევამ მისცა ნება, ანუ პირველი დანაშაულობა ვერ შეუტყო მთავრობამ.

რას უნდა მივაწეროთ ამგვარი მათი უბედურება და გონებითი სიბნელე? ამას გვიხსნის მირზა საიდ-ეფენდი, წევრი თფილისის მაჰმადიანთ სასულიერო მმართებლობისა, თავისს პროექტში, რომელიც წარადგინა ცენზურის კომიტეტში გაზეთის გამოცემის თაობაზედ თათრულს ენაზედ. აი ეს განმარტება სიტყვით-სიტყვამდე გადმოთარგმნილი:

„გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კაცის დაბნელებული გონება გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის გაიცნობს ამ ქვეყანაში სხვა და სხვა ამბავს, ხალხის ჩვეულობას, ქცევას და ყოველ გვარს ახალის და ძველის დროების გამოგონილებას.

„ამას მიაღწევს კაცი მხოლოთ გაზეთების კითხვით, რომელიც, ჩვენდა-თათრების საუბედუროთ, არა ყოფილა გამოცემული ჩვენს ბუნების ენაზედ, მაშინ როდესაც სხვა სჯულის ხალხი თავისუფლად სარგებლობს გაზეთების კითხვით ყველანი თავიანთ ენაზედ. მაშა სადამე ისინი ყოველთვის ჩვენზედ დაწინაურებულნი იქმნებიან და არიან კიდეც, რადგანაც მათი გონება ეხლა საკმაოდ გახსნილია და გაეგებათ ავი და კარგა.

„განა მართლა ამათ სარწმუნოება აღელვებს? არა, უსწავლელობა და უმეცრება, რომელიც არის დამკვიდრებული იმათს დაბნელებულს გონებაში.

„ღმერთი ერთია!" სთქვა წინასწარმეტყველმა მაჰმადმა. „ღმერთი ერთია!" Იმეორებენ ყოველი სჯულის ხალხნი. მაშა სადამე სიყვარული და ერთმანეთის გაცნობა შეადგენს ჩვენს ბედნიერებას. აღმოსავლეთის მცხოვრებთაც ჰსურთ იმდენივე სიმართლე და განათლება, რაოდენიც დასავლეთის მცხოვრებთ.

„აი კიდევ ამ გარებოებამ განაღვიძა

ჩემს გულში წადილი გაზეთის გამოცემისა თათრულს ენაზედ კავკასიაში, რომელიც შეადგენს საკმაოდ ვრცელს ნაწილს რუსეთის იმპერიისას.

„რათ უნდა იყვნენ ეს თითრები აქამომდე სიბნელეში, მაშინ როდესაც გაზეთის გამოცემა აქამდისაც შეეძლოთ ბევრს მაჰმადიანთ რჩეულის პირებს, რომელთაც აძლევთ ამ ნებას სიმდიდრეც და სწავლაც. ჩემის აზრით, ამისა ალრულება შეადგენს ერთს სასარგებლოს და სამაგალითო საგანს და ექმნება დიდი გავლენა თათრების ხასიათის გამოცვლაზედ. ხალხი დღე-დღეულათ გამოვა სიბნელიდგან და თავის დროს მიაღწევს იქამდინ, რომელ ყოველს მაჰმადიანს შეეძლება თავის საკუთარის მსჯელობით განარჩიოს ავიდგან კარგი და დაადგეს უკანასკნელს. და რადგანაც დანიშნულება ჩემის გაზეთისა არის ხალხის განათლება, ამისათვის უნიშნავ მის შესაფერს სახელს: „ნ ა თ ე ლ ი“.

ამის შემდგომ მე მინდა გავაცნობო მკითხველი გაზეთის გამომცემელთან:

საიდ-ეფენდი არის 50 წლისა, აქვს წარმომადგენელი ახოვნება, რომლის პირველივე შეხედულება გვიმტკიცებს მის გონიერებას. კავკასიის მაჰმადიანებში ის ითვლება სწავლით განათლებულ კაცად. ამისი მეცადინეობა ხალხის განათლებისათვის არის გონივრული და დიდის სურვილით მოწადინებული. ამას გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ გაზეთის ფასი დანიშნა ძალიან მცირედი—ექვსი მანეთი და ამით ცდილობს, რომ ყოველს პირს მისცეს შეძლება გაზეთის გამოწერისა.

ვგონებ, ეს განზრახვა დიდიხნის ალძრული უნდა იყოს საიდ-ეფენდის გულში. მს დასკვნა გამომყავს იქიდგან, რომ ამან წინათვე შეამზადა თავისს საკუთარი ტიპოგრაფია და ლიტოგრაფია, სადაც უნდა იბეჭდებოდეს ეს ახალი გაზეთი.

ამ გვარივე მისი მეცადინეობა ხალხის განათლებაზედ სჩანს იქიდგანაც, რომ საიდ-ეფენდიმ თავის შემახიაში მყოფობის დროს გახსნა საკუთარის ხარჯით ასის შეგირდისათვის სასწავლებელი და კარგათაც წაიყვანა საქმე სწავლისა; მაგრამ ბოლოს, როდესაც ეს გადმოიყვანეს თფილისში ახალს თანამდებობაზედ, მაშინ იმ სასწავლებელმა დაიწია ძირს, რადგანაც რიგიანი ყურის-მგდებელი აღარავინ გამოჩნდა.

ამისი თფილისში გამოწვევა აგერ სამი წელიწადი გახდა. პირველის მოსვლის დროს ამან სრულებით არ იცოდა რუსული ენა; ეხლაკი შესანიშნავია, რომ ამ მოკლეს ხანში ისე შეისწავლა ეს ენა, რომ შეუძლიან იმუსაიფოს ხანგრძლივ საკმაოდ ძნელს საგნებზედ. ამას გარდა არ ვიცი საიდგან გაუზეპირებია ჩვენი სარწმუნოების სახარების და სხვა სამღრთო წერილის წიგნების შინაარსი.

ა. შ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**მაჭახელა**, 4 დეკემბერს. დღეს ერთი მაჭახელი კაცი შემოვიდა ჩემთან ოთახში, მიწა ხელით მიჩვენა (რომელიც ნიშნავს შენი ფეხთა მტვერი ვარო) და მითხრა, ბათუმიდან გიახლები, თქვენმა ხანუმმა სალამი მოგახსენა და ეს წიგნი მოგართვაო...

ძრიელ მომეწონა ამ კაცის შეხედულობა და ქცევა. ვკითხე, რა გვარი ხარმეთქი?

— ჩემი ძველი გვარი აბაშიძე იყო.

— რა ამბავია ბათუმში?

— არაფერი, ბატონო, მშვიდობაი.

— ამბობენ, ზემო-აჭარაში რაღაც უწესოება მოხდაო,—მართალია ეს?

— არა, ბატონო, ალლაი ბილაი სულ იალანჯია (სიცრუეა). კაცს რომ შვილი მოუკვდეს, გამწარებული მამა სანამ შვილის სიმწარეს მოიწყენებდეს, მანამ მისს სიტყვას ყური არ უნდა ათხოვო. ჩვენი საქმეც ისე: ოთხასი წელიწადი თათრების ხელში ვართ; სულით, გულით შეუერთდით, შეეჩვიეთ და უცებ მოვშორდით; სანამ შეგეჩვეოდით, მოგვიარეთ, ნუ დაგვაბეჩებთ, გვიხიზმათეთ (იზრუნეთ ჩვენთვის), ჩვენც გეხიზმათებით. . . . . .

ჩაიყო ჯიბეში ხელი და ჩვენი ქართული გაზეთი „დროება“ ამოიღო.

— ეს რათ გინდა, მამედ?

— ამას, ბატონო, ერთი ქალი კითხულობს ჩვენში და იმასთან მიმაქ.

— სხვა რა ამბავია ბათუმში?

— არაფერი... ამას წინეთ რვა აფიცარი დამთვრალიყვნენ; ღამე ზღვაში ნავით სიარული მოინდომეს, დამოქნის სალდათმა არ გაუშვა. რა მზე ჩავა, არავის უშვებენ ზღვაში, არა გაიტანონრაო.. სალდათმა დაუშალა და ის სალდათი იმოდენათ ჩააქციეს მუცელში ცემით, რომ ძლივს სულს ღაფავდა და აქამდი მოკვდებოდა. ჩვენი ბაირამის კვირას (26 ნოემბერს) ყაზახები და სალდათები დამთვრალიყვნენ, დაერივნენ თათრებს და ბერძნებს და ძრიელი ჩხუბი იყო: . . . . . ჰალახმა უშველოს დიდ ბატონის კამაროვის ვექილს მრისთავს, ის რომ არა, გლახათ წავიდოდა საქმე.

— მამედ, გუშინწინ ოსი რომ დაჩეხეს ბორჩხაში, არ იცი—ვინ დაჩეხა?

— დაუდ-ბეგ, ჩვენ მემლექთში (ქვეყანაში) ხომ არ ყოფილა; აქაური ფირალები (ავაზაკები) ისე შეაშინეს, ბურჯისტანში წავიდენ.

— მისწერეს ოზურგეთის ნაჩალნიკს და დაიჭირეს.

— კი, მარა იმათ ბილეთები აქვთ, აჭარაში აიღეს, აქაური კაცი გონჯაია:

# მწერლობა

**სიყვარული**, შედგენილი ანთიმოზ ჯუღელისაგან. თფილისი 1878.

**ლექსები**, თხზ. ივანე კერესელიძისა. დაწერილი 1854—1876 წ. გამოცემული ექვთიმე ხელაძისაგან. თფილისი 1878.

არა მგონია საჭირო იყოს ამ წიგნების გარჩევით მკითხველს თავი მოვაბეზრო; ან რა ითქმის ა რ ა რ ა ი მ ე ზ ე? ამაო იქნება ამ ნაწერში კაცმა პოეზია ეძებოს, სადაც უმსგავსობის და უნიჭობის გარდა არა მოიპოება-რა. სხვა არა იყოს რა, დიდი შეურაცხყოფის მიყენებაა მწერლებისგნით ამგვარ ნაჯღაბნის მირთმევა ქართულს საზოგადოებისთვის, რომელიც შ. რუსთაველის, ალ. ჭავჭავაძის და გრ. ორბელიანის პოეზიით არის აღზდილი.

ჩვენმა უკვდავმა პოეტმა მართლადაც სთქვა, რომ „შაირობა სიბრძნისაა ერთი დარგი“. და სიბრძნე ყველას არა აქვს, ვისაც ტაეპების წერა შეუძლიან. გარდა ტკბილის ხმის მღერისა, პოეტს სხვა უმაღლესი და უაღრესი თანამდებობა აქვს—ხალხის წინამძღოლობა და მოძღვრობა. ის არის ჩვენი საიდუმლო აზრის გამომთქმელი და ჩვენი გულის სევდის თანაგრძნობელი. პოეტმა უნდა გაახორციელოს და ჩაუდგას სული იმ გულის თქმასა, რომელიც ჩვენში დუღს და არა აქვს არც საგანი, არც გზა და კვალი. პოეტი ის ალის სვეტია, რომელიც გვიხსნის უდაბნოდამ და მიგვიყვანს აღთქმის ქვეყანაში. პოეტმა იცის ჩვენი გული და ჩვენი ცოდვანი, ის გამოაშკარებს ჩვენს ცდომასა, დაფარულს ბიწიერებას, დასჯის გარყვნილს გულსა და თვით უფრო იტანჯება, ვინემც დასჯილი გული. პოეტის სიტყვას, ზეცით შთაბერილსა, იგივე ძალა აქვს, ვით წინასწარმეტყველისას...

ვისაც ყველა ეს არა სჭარს, ნუ აიღებს ჩანგსა და თუ მოიხმობს იმ ძლიერსა, რომელმაც „ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვანა ზეცით მონაბერითა“; მაგათთვის ზეცა სდუმდება და კაცის გული დაჰხშულია.

მაგრამ, ნუ თუ აღარა გვყავს ჩვენ ნამდვილი პოეტი, რომ უნიჭობას დარჩენოდეს ბურთი და მოედანი?

რათ დასდუმდნენ ჩვენი უკეთესნი პოეტნი? ნუ თუ, ეშინიანთ ჩვენი გულგრილობისა? სად არი ის გული, რომელსაც მათი სიტყვა მოხვედროდეს და არ მოხიბლულ იყოს? ნუ თუ აღარა გვაქვს სულის კვეთება, აღარ ვიტანჯებით, აღარა გვაქვს სიმართლის წყურვილი, აღარ გვიცემს ქართვლის გული და მივეცენით სამუდამოთ კმაყოფილებას?

მაშ ჩაიხედონ ჩვენმა პოეტებმა ქართვლის გულში და გამოაშკარონ ის დაფარული, მიუწვდომელი სურვილი, რომელიც სტანჯავს მას და ვერ გამოუთქმია.

აბა ბულბულმა ენა ამოიდგას, და ვნახოთ მაშინ თუ კაჭკაჭმა ხმა არ ჩაიწყვიტოს!...

ა.

